ხარაგაულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს

დადგენილება N 25

17 დეკემბერი 2024 წელი

დ.ხარაგაული 56-00
9 აპრილის ქუჩა #15

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24–ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის "საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის" 78-ე მუხლის მე- 2 პუნქტისა და ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:**

მუხლი 1. დამტკიცდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2025 წლის ბიუჯეტი თანდართული რედაქციით (დანართი თან ერთვის) .

მუხლი 2. აღნიშნული დადგენილების ძალაში შესვლის დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის # 29 დადგენილება ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ (**(საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებგვერდი 21/12/2023, სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.128.016510)** .

მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს 2025 წლის პირველი იანვრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**